„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ საქართველოს პარლამენტის შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს აქვეყნებს

- **მოქალაქეები მწირ ინფორმაციას ფლობენ პარლამენტის საქმიანობის შესახებ**

20 მაისი, 2008 წელი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ გამოაქვეყნა საქართველოს პარლამენტის შესახებ საზოგადოებრივი კვლევის შედეგები, რომელიც მისი დაკვეთით „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა” ჩაატარა. კვლევა ჩატარდა 2008 წლის 25 მარტიდან 2 აპრილამდე მთელი ქვეყნის მასშტაბით პირისპირ ინტერვიუების სახით. სულ გამოიკითხა 1538 რესპონდენტი. კვლევა მიზნად ისახავდა პარლამენტის შესახებ მოქალაქეების შეხედულებების გარკვევას და, შეძლებისდაგვარად, ახსნას.

ნდობა ინსტიტუტების მიმართ

ამჟამად ამომრჩეველს არა აქვს მაღალი ნდობა პარლამენტის მიმართ, თუმცა 2007 წლის ოქტომბრიდან დღემდე ნდობის დონის უმნიშვნელო მატება შეინიშნება. გამოკითხულებმა ყველაზე მეტი ნდობით სახალხო დამცველი სარგებლობს (32.2%). ამ მხრივ შემდეგ ადგილზე პრეზიდენტი გავიდა (24.4%). ყველაზე ნაკლები ნდობა სასამართლომ და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაიმსახურეს. მათ უნდობლობას, გამოკითხულთა, შესაბამისად, 36.7% და 36.2% გამოუცხადა. პარლამენტს სრულად მხოლოდ 9.4% ენდობა. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ პარლამენტმა, სხვა ინსტიტუტებთან შედარებით, ყველაზე მაღალი „საშუალო” ნდობა (5 ბალიან შკალაზე 3), 36.2% დაიმსახურა.

2007 წელს სახალხო დამცველს სრულ ნდობას გამოკითხულთა მხოლოდ 14.4% უცხადებდა. 2008 წლისთვის ეს რიცხვი გამოკითხულთა მესამედამდე გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, მოიმატა უნდობლობამ სასამართლოსა (22.2-დან 36.7%-მდე) და პრეზიდენტის (16.5-დან 24.4%-მდე) მიმართ. მთავრობისა და პარლამენტის მიმართ ნეიტრალურად განწყობილ რესპონდენტთა წილი გაიზარდა. ამ ინსტიტუტების მიმართ სრული უნდობლობა სტაბილური დარჩა, სრულმა ნდობამ მოიმატა.

ინფორმირებულობა პარლამენტის შესახებ

პარლამენტის მიმართ ნდობის დაბალი ხარისხის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მოქალაქეებს მწირი ინფორმაცია აქვთ მისი საქმიანობის შესახებ. ისინი ნაკლებად ერკვევიან, თუ რა უფლებები აქვთ პარლამენტთან მიმართებაში. რესპონდენტთა თითქმის მეოთხედი ფიქრობს, რომ ამომრჩეველს მაჟორიტარი დეპუტატის დათხოვნის უფლება აქვს. დაახლოებით 14%-ს მიაჩნია, რომ პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლა შეუძლია.

მათი აზრით, პარლამენტი ძირითადად ახალი კანონების შემუშავებითა და მიღებით არის დაკავებული და ამ ფუნქციას შედარებით ეფექტურად ასრულებს. შედარებით უარყოფითია პარლამენტის ეფექტურობის შეფასება მოქალაქეთა ინტერესების დაცვის კუთხით.

პარლამენტის საქმიანობის შესახებ ყველაზე მეტად რესპონდენტებს მინისტრთა კაბინეტის დამტკიცების კენჭისყრის შედეგები, პარლამენტის ბიუჯეტი, პარლამენტში განსახილველი კანონპროექტები და დეპუტატების ყოველწლიური ფინანსური და ქონებრივი დეკლარაციები

აინტერესებთ. აღსანიშნავია, რომ ზოგადად, პარლამენტის საქმიანობის და თვით ამ საკითხების მიმართაც საზოგადოების ინტერესი საკმაოდ დაბალია.

ამომრჩევლები უკმაყოფილოები არიან მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობითაც. მათმა უმრავლესობამ არც კი იცის, ვინ არის მაჟორიტარი დეპუტატი მის ოლქში. მაჟორიტარი დეპუტატის სწორად დასახელება გამოკითხულთა მხოლოდ 41,8%-მა შეძლო, 4.5%-მა ისინი არასწორად დაასახელა, 53,3%-მა კი საერთოდ ვერ დაასახელა.

მოქალაქეთა უმრავლესობას მაჟორიტარი დეპუტატის მხრიდან ყურადღების მოლოდინი არა აქვს. **რესპონდენტთა 27.2% აზრით, მაჟორიტარს კითხვით ან თხოვნით წერილობით რომ მიმართონ, პასუხს ვერ მიიღებენ.** მხოლოდ 13.8% თვლის, რომ პასუხს აუცილებლად მიიღებს. გამოკითხულთა თითქმის 88% არც იცნობს ისეთ ადამიანს, ვისაც პარლამენტისთვის ოფიციალური წერილით როდესმე მიუმართავს. **ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობა (93,7%) არასოდეს შეხვედრია (მათ შორის, არც მათი ოჯახის წევრები) რომელიმე დეპუტატს.**

ამომრჩევლების 2/3 თვლის, რომ პოლიტიკოსები მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურობენ, რათა ხმები მოიპოვონ, მერე კი საკუთარი საქმეებით კავდებიან. გამოკითხულთა 80%-ის აზრით, მაჟორიტარი დეპუტატის ერთ-ერთი ფუნქცია ოლქის მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილების პოვნაში დახმარებაა.

პარლამენტსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად გამოკითხულებს აუცილებლად როგორც ამომრჩევლების, ისე მაჟორიტარების გააქტიურება მიაჩნიათ. რესპონდენტებმა დეპუტატებთან კომუნიკაციის არარსებობის მთავარ მიზეზად დეპუტატებში შესაბამისი სურვილის არქონა დაასახელეს (39%). რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ მთავარი პრობლემა დეპუტატების მიერ პრობლემების გადაჭრის უუნარობა. 30% უფრო თვითკრიტიკულიც აღმოჩნდა და თქვა, რომ ამომრჩეველმა კარგად არ იცის, რაზე უნდა მიმართოს დეპუტატს და ეს იწვევს ურთიერთობებში პრობლემებს.

რაც შეეხება გამოკითხულთა ზოგად ინტერესს პოლიტიკის მიმართ, გამოკითხულთა 53.5%-მა თქვა, რომ პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებს ან ნაკლებად აინტერესებს. მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისში (როცა კვლევა ჩატარდა), 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება გადაწყვეტილი ჰქონდა რესპონდენტთა დაახლოებით 75%-ს. მათი უმრავლესობა, ვინც არჩევნებში მონაწილეობის მიღებას არ აპირებდა ამას იმით ხსნიდა, რომ არჩევნების შედეგები გაყალბდებოდა (31.9%). 20%-მა თქვა, რომ არჩევნებზე იმიტომ არ მივიდოდა, რომ პოლიტიკა არ აინტერესებდა. 17.6%-მა ხმის მიცემის სურვილის არქონა პარტიების მიმართ უნდობლობით ახსნა. 6.9%-მა კი თქვა, რომ პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს მხოლოდ პრეზიდენტი ასრულებს.

როგორც კვლევამ აჩვენა, მაჟორიტარი დეპუტატების არჩევისას მოქალაქეები ყველაზე დიდ მნიშვნელობას მათ კეთილსინდისიერებას ანიჭებენ (70.7%). ამ მხრივ მეორე ადგილზე გავიდა კანდიდატების საქმიანობა შესაბამის ოლქში (52.6%), მესამეზე – მათი გავლენა ოლქში ამ (49.6%), მეოთხეზე – მათი წინასაარჩევნო დაპირებები (45.9%). რაც შეეხება პარტიების არჩევას, ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებად დასახელდა: პარტიის ლიდერი (58.6%), პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა (57.7%) და პარტიული სიის შემადგენლობა (53.1%).

პრესასთან საკონტაქტო პირი:
ნანა ლობჟანიძე
(995 32) 92 14 03
nana@transparency.ge

პროექტი განხორციელდა „შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს“ ფინანსური მხარდაჭერით